

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N15

ქ.თბილისი

7 ოქტომბერი, 2022 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	თორნიკე ბიკაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე	საბა ბუაძე
ანა გოგოლაძე	ოთარ გრიგოლია
შოთა გრიგოლია	მამუკა გუგუშაშვილი
ლევან დავითაშვილი	ირაკლი ებგვერაძე
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე	მიხეილ კაკაურიძე
ნიკოლოზ კახეთელიძე	ნინო კვიციანიშვილი
ცოტნე კობერიძე	ზვიად კუპრავა
კახაბერ ლაბუჩიძე	ლილე ლიპარტელიანი
ნათია მოდებაძე	ირაკლი ნადირაძე
შალვა ოგბაძე	გიორგი ონიანი
გურამ ოქროპირიძე	ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე	ზურაბ ჩიკვილაძე
გივი ჩხარტიშვილი	ავთანდილ ცინცაძე
ნინო წულაძე	ირაკლი ხელაძე
ალექსანდრე ხუჯაძე	ლევან ჯაფარიძე
სოფიო ჯაფარიძე	ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა ევროპული პოლიტიკური გაერთიანების პირველ სამიტზე, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოს დელეგაცია და განაცხადა, რომ საქართველოს პრემიერმინისტრი იყო დისკუსიის „მშვიდობა და უსაფრთხოება ევროპის კონტინენტზე“ თანათავმჯდომარე, რაც არა მხოლოდ პირადად მისადმი, არამედ ჩვენი ქვეყნისადმი გამოხატული მნიშვნელოვანი ჟესტია. მისი თქმით, საქართველოს მთავრობის მეთაურის ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები პრალაში მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, კიდევ ერთი მყარი ნაბიჯი გადავდგით იმისთვის, რომ 2023 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღოს ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსი. განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება ასრულებს ევროკავშირის 12 პუნქტიან რეკომენდაციას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პროცესში კვლავ არ არის ჩართული რადიკალური ოპოზიცია და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს: „თქვენი მთავარი ინტერესი ახლა არის ის, რომ ჩვენმა ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი, თუმცა, გუშინდელი და დღევანდელი შეხვედრები ამის საპირისპირო რამეზე მეტყველებს. თქვენ ხართ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ითხოვდა რიგგარეშე არჩევნებს ქვეყანაში და სამაგიეროდ, როგორც ვატყობთ, მიიღებთ რიგგარეშე არჩევნებს საკუთარ პარტიაში. თქვენ ხართ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც ჩვენ გვემუქრებოდათ ჩამოშლით და დაშლით და ახლა რამდენ მარტივ მამრავლად დაიშალეთ უკვე, კიდევ საკითხავია. ამ ჯანმრთელი და ცოცხალი კაცის მემკვიდრეობა რა ვერ გაიყავით - ან ელექტორატი, ან დაფინანსება, ან პოლიტიკური თანამდებობები? მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდეს თქვენს პარტიაში, რომ კიდევ უფრო დამშვიდებული შეხვდეს ჩვენი ქვეყანა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ერთსაც შეგახსენებთ, რამდენადაც არ უნდა დაგაფინანსოთ ბიუჯეტის და ჯარისთვის მოპარული ფულით კეზერაშვილი, რამდენადაც არ უნდა დაგაფინანსოთ თქვენმა ჯიბის ბიზნესმენებმა, თქვენმა კონტროლირებადმა მედიამ რამდენი ტყუილი, სიცრუე და დეზინფორმაციაც არ უნდა გავრცელოს, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში გაგრძელდეს მშვიდობა, სტაბილურობა და განვითარება“.

საბა ბუაძემ ისაუბრა სატრანსპორტო სფეროში არსებულ პრობლემებზე და აღნიშნა, რომ თავად ემხრობა რეფორმის იდეას და ფიქრობს, რომ აღებული იქნა სწორი ორიენტირი, მაგრამ ვხედავთ, რომ ამ რეფორმის განხორციელება არის კატასტროფულად ნელი, რასაც ჩვენი თანაქალაქელები ყოველდღიურად ცდიან საკუთარ თავზე. დღეს თბილისში უკიდურესი პრობლემაა ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაადგილება, რასაც აქვს თავისი ახსნა - „ეს არის ის უთავბოლოება, რომლითაც ბატონი კალაძე ამ რეფორმას ახორციელებს“. მისი თქმით, კახა კალაძე, ჯერ კიდევ 2018 წლის დეკემბერში თბილისელებს დაპირდა, რომ გვეყოლებოდა 18 მეტრიანი ავტობუსები, რომლებიც განტვირთავდა არსებულ სერიოზულ პრობლემებს, თუმცა, ეს იყო მის მიერ ნათქვამი მორიგი ტყუილი. თბილისის მერი დაგვპირდა, რომ ავტობუსებისთვის მოეწყობოდა სატრანსპორტო დერეფნები - ე.წ. „ბასლაინები“, მაგრამ ვხედავთ, რომ მისი მერობის ხუთწლიან პერიოდში ნახევარიც კი არ არის დახაზული. ასევე, დაგვპირდა მიწისზედა 8 მეტროსადგურს და კიდევ უამრავი დაპირება იყო სატრანსპორტო თვალსაზრისით, რომელიც არ შესრულდა ცუდი მენეჯმენტის და კორუფციული განზრახვის გამო. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს, იბიარდის ფულით, უნდა ეყიდა 18 მეტრიანი ავტობუსები, თუმცა მან ამაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ თითქოს იბიარდის პროცედურები არის ნელი, თუმცა, სინამდვილეში, იბიარდის პროცედურები არის კორუფციული რისკის მინიმუმამდე დაყვანის საუკეთესო საშუალება. საბა ბუაძემ განაცხადა, რომ როდესაც ხორციელდება მსხვილი შესყიდვა და იხარჯება დიდი რაოდენობით თანხა, კალაძის პირობებში, ბუნებრივია, არსებობს ლოგიკური კითხვის ნიშნები ამ თანხის კორუფციულ ხარჯვასთან დაკავშირებით და ეჭვი გამოთქვა, რომ 18 მეტრიანი ავტობუსების

ყიდვის გადავადება 5 წლით იმიტომ დასჭირდა ბატონ კალაძეს, რომ საბოლოო ჯამში, აქედანაც ნახონ კონკრეტული ხეირი მან და „ქართული ოცნების“ პარტიასთან დაკავშირებულმა კომპანიებმა და თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე მიიღონ კორუფციული შემოსავალი. მისი თქმით, არ არსებობს სხვა ახსნა იმისა, თუ რა მიზეზით შეიძლება ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმის გადავადება, რომელსაც საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი, მათ შორის ოპოზიციაც, უჭერს მხარს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ საბა ბუაძის რიტორიკა ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რადგან ყველა ვთანხმდებით, რომ ამ სატრანსპორტო პოლიტიკას ალტერნატივა არ აქვს, მივდივართ სწორი გზით და ინფრასტრუქტურული პროექტების ამგვარად დაგეგმარება არის გარდაუვალი იმისთვის, რომ მივიღოთ შედეგი. მისი თქმით, კახა კალაძის მერობის პერიოდში შეძენილი იქნა 850 ერთეული ახალი ავტობუსი, რომლებიც დღეს ემსახურება თბილისს, ხოლო რაც შეეხება 18 მეტრიან ავტობუსებს, აღნიშნა, რომ ამ ავტობუსებს აუცილებლად თან უნდა სდევდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ამასთანავე, დგას ახალი ავტობუსის საჭიროებაც. გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ სატრანსპორტო რეფორმის განხორციელება მიმდინარეობს დაგეგმილად და სასურველ შედეგამდე მისვლის პროცესში, რა თქმა უნდა, იქნება გარკვეული პრობლემები. სატრანსპორტო რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გამზირების რეაბილიტაცია და იმგვარად გადაწყობა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს პრიორიტეტი და იმ ფონზე, როდესაც დედაქალაქის ორი მთავარი გამზირი გადაკეტილია სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ბუნებრივია, იქმნება დისკომფორტი. რაც შეეხება განცხადებას, რომ იბიარდის პროცედურები არის კორუფციული რისკის მინიმუმამდე დაყვანის საუკეთესო საშუალება, აღნიშნა, რომ არაერთი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ წინააღმდეგი იბიარდის პროცედურებით ტენდერის გამოცხადებაზე და აქედან გამომდინარე, ამაზე საუბარი მიუღებელია. საუბრის ბოლოს, გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ რადგან ყველას გვესმის, რომ სატრანსპორტო რეფორმა სწორია და მას ალტერნატივა არ აქვს, ერთობლივად უნდა ავუხსნათ საზოგადოებას, რომ ეს პროცესი უნდა გადავლახოთ და რა სიკეთე მოჰყვება ამ ყველაფერს.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ უკვე რამდენიმე დღეა სატრანსპორტო კოლაფსი გვაწუხებს ჩვენ და ათასობით თბილისელს, რომლებმაც არჩევნებზე ხმა იმიტომ მოგვცა, რომ ვისაუბროთ პრობლემებზე და არა მოვუწოდებდეთ, რომ თურმე საცობებს ქმნიან მგზავრები, რომლებიც ზოლში არ მოძრაობენ, როგორც ამას აკეთებს ვიქტორ წილოსანი, რომელიც, დღეს, იმ ფონზე, როდესაც ერთი-ერთი მთავარი გამოწვევა სატრანსპორტო კუთხით არსებული პრობლემაა, უნდა ესწრებოდეს საკრებულოს სხდომას. თუმცა, იგი არათუ საკრებულოს სხდომაზე, ფრაქციის და კომისიის სხდომაზეც კი არ მოსულა, რათა ემსჯელათ იმ გეგმებზე და ალტერნატივაზე, რომელიც ამ მოცემულობაში განმუხტავდა მუნიციპალური ტრანსპორტის მიმართულებით არსებულ ვითარებას. ნინო წულაძე გამოეხმაურა არჩილ თალაკვაძის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ, მანქანიდან გადაღებულ ფოტოს და სტატუსს, რომ თურმე თბილისს ყველაზე მოწესრიგებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჰყავს და დაინტერესდა, საკრებულოს ან პარლამენტის წევრები, რომლებსაც ემსახურებათ სამსახურებრივი მანქანები, ერთხელ მაინც თუ ჩასულან მეტროში და თუ უნახავთ იქ არსებული გაუსადმისი მდგომარეობა. მისი თქმით, ვიქტორ წილოსანის, როგორც სააგენტოს ხელმძღვანელის, პირდაპირი ვალდებულებაა შეიმუშაოს სატრანსპორტო პოლიტიკა და საკრებულოს მოაწოდოს გეგმა, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისთვის, რომ განიმუხტოს არსებული მდგომარეობა.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისის სატრანსპორტო სისტემამ, მგზავრთა გადაყვანის თვალზასრისით, მოხნა აბსოლუტური რეკორდი - გადაიყვანა 1100000 ადამიანი და განაცხადა, რომ კოლაფსი მაშინ იქნებოდა, მუნიციპალიტეტი ამ გამოწვევას მომზადებული რომ არ შეხვედროდა. მისი თქმით, როდესაც რაღაც პროცესს ვაფასებთ, აუცილებლად უნდა შევაფასოთ რა იყო, რა დაგვხვდა და რომელი მიმართულებით

მივდივართ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას თბილისში ალტერნატივა არ გააჩნია და სწორედ ასე უნდა ვუპასუხოთ ამ გამოწვევას - დედაქალაქში განხორციელდა ტაქსების რეფორმა, სრულად განახლდა მიკროავტობუსების და ავტობუსების პარკი, გაკეთდა ველობილიკები, ერთ-ერთი მოწინავე ვართ ეკო მეგობრული ტრანსპორტის წახალისების თვალსაზრისით და დაინერგა სხვა მრავალი სიახლე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ მთავარია პროცესი და ის, თუ რა გზით მივდივართ და ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რასაც ჩვენი დედაქალაქის თანამედროვე სატრანსპორტო სისტემის შექმნა ჰქვია.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა ისაუბრა საერთაშორისო სტატისტიკაზე, რომლის მიხედვითაც თბილისი, ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით, არის მე-3 ადგილზე, რისი მთავარი მიზეზიც არის ავტომობილების გამოწვევა. ამავდროულად, საქართველოში არსებული მანქანების რაოდენობის 37% მოძრაობს თბილისში და, თავის მხრივ, ამ მანქანების 90% არის ათი ან მეტი წლის. აქედან გამომდინარე, თბილისში ჰაერის დაბინძურების დონე 3-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას, რის შედეგადაც ყოველი მე-9 ადამიანის გარდაცვალების მიზეზი არის ჰაერის დაბინძურების შედეგად გამოწვეული სხვადასხვა დაავადება. მისი თქმით, ასეთ კატასტროფულ მდგომარეობას არ შეეღობა მხოლოდ ყვითელი ავტობუსების ჩანაცვლება და არგუმენტი, რომ დღევანდელი ჰაერის დაბინძურება თურმე წინა მთავრობის ბრალია. ასევე, არ შეეღობა ერთი ქუჩის რეაბილიტაცია მაშინ, როდესაც პარალელურ ქუჩებზე ადამიანებს მთელი დღე დახურულ ფანჯრებში უწევთ ცხოვრება, არც ტურისტებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის გათვალისწინება შეეღობა, რადგან თბილისის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის გაორმაგდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური და ასევე, არ შეეღობა ზოლების დამცავი ადამიანების დაყენება მეტროში მაშინ, როდესაც მეტროები სავსეა ხალხით. ამას სჭირდება თანმიმდევრული, კომპლექსური და დროული სატრანსპორტო ხედვა და მისი განხორციელება, რაც დღევანდელმა ხელისუფლებამ არ ან ვერ გააკეთა. განაცხადა, რომ უკვე ათი წელია, როგორც ცენტრალურ, ასევე, ქალაქის დონეზე, „ქართული ოცნებას“ აქვს უმრავლესობა და ამ სიტუაციის შეცვლის ყველა ბერკეტი, თუმცა ის ამას არ აკეთებს და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ყველაფერი გინდოდათ? დიახ, ყველაფერი გაქვთ, მათ შორის, პასუხისმგებლობა, მათ შორის, პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ცუდად კეთდება და რაც არ კეთდება ან გვიან კეთდება და თუ შეიძლება შეეშვიტოთ ხალხზე გადაბრალებას, შეეშვიტოთ ნახევრად სიმართლით მანიპულირებას, კეთილი ინებეთ და გააკეთეთ საქმე დროულად“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ 10 თვეა საკრებულოს წევრია და ამ დროის განმავლობაში კალაძის გუნდი მუდმივად უმტკიცებს, რომ მასზე მეტად უყვარს თბილისი, ისინი მუდმივად მართლები არიან და უმრავლესობას მათი დახმარება არაფერში სჭირდება. ისაუბრა თბილისში გზების დაგებასა და საგზაო მონიშვნებზე და აღნიშნა, რომ გზები არ არის დახაზული, ხოლო სადაც დახაზულია, წვიმის დროს არ ჩანს საგზაო მონიშვნები, მათ შორის, ზონალური პარკირების ნომრები, სადაც ავტომანქანის გაჩერება ერთი საათი ღირს 1.00 ლარი. რაც შეეხება გზების დაგებას, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ჭებზე გადააგეს ასფალტი და ხელმეორედ მოუწიათ სამუშაოების განხორციელება, პატარ-პატარა ქუჩებზე გზების დაგებისას, სადაც არ არის საჭირო კომუნიკაციების შეცვლა, მაგალითად დიდ დილომში, 800 მეტრიან ქუჩაზე, გზის დაგება დაიწყო ივლისში და დღემდე არ არის დასრულებული, ამასთანავე, სამუშაოების განხორციელება მიმდინარეობს შრომის უსაფრთხოების და სანიტარული ნორმების დარღვევით და აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება მომსახურების შესყიდვა განვახორციელოთ ისეთი კომპანიებისგან, რომლებიც სამუშაოებს შეასრულებენ შესაბამის ვადებში, მაღალი ხარისხით და შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად საუბრობდნენ იმაზე, თუ რას და როგორ აკეთებდა წინა ხელისუფლება, რომლის მაღალი თანამდებობის პირებმა პასუხი აგეს თავიანთ ნამოქმედარზე - მერიც ციხეში იჯდა და პრეზიდენტიც ციხეში ზის და განაცხადა, რომ მას არ აინტერესებს რა ხდებოდა, აინტერესებს რა და როგორ კეთდება დღეს და დღეს ყველგან ხდება იგივე, რაც ხდება დიდ დილომში, მის მიერ ხსენებულ შემთხვევაში.

ანა გოგოლაძემ ისაუბრა თბილისში სატრანსპორტო კუთხით არსებულ კოლაფსზე და განაცხადა, რომ პარადოქსულია ის, რომ ეს ძალიან მძიმე მოცემულობა თითქოს მხოლოდ მოსახლეობის და ოპოზიციის პრობლემაა და ამ თემით ვსპეკულირებთ, რადგან „ქართულ ოცნებას“ ძალიან ბევრი პრობლემა აქვს, რაზეც შეგვიძლია საუბარი, მაგრამ ხალხს უნდა, რომ ამ ტრიბუნიდან ესმოდეს ოპოზიციის ხმა, გეგმა და გამოსავალი. თუ გავიხსენებთ „ქართული ოცნების“ ბოლოდროინდელ განცხადებებს, ვნახავთ, რომ ამ გუნდს სჭირდება შეხება, თუ ვინაა ამ მძიმე მდგომარეობაზე პასუხისმგებელი და დღეს, თბილისის მერი, ვიცე-მერი, შესაბამისი სამსახურის უფროსი ან სააგენტოს წარმომადგენელი პასუხისმგებლობას რომ გრძნობდეს, უნდა იყოს საკრებულოს სხდომაზე, საუბრობდეს ამ პრობლემებზე, აღიარებდეს შეცდომას და ერთად ვსაუბრობდეთ გამოსავლის გზებზე. თუმცა, ამის სანაცვლოდ, გვესმის პასუხისმგებლობის არიდება, შეცდომების აღიარების უნარის არქონა და ყველაფრის მოქალაქეებზე გადაბრალება, რომ თითქოს ეს მდგომარეობა მათი ბრალია და ისინი ვერ უწყობენ ფეხს თანამედროვეობას. ამასთან ერთად, ირონიულია ისიც, რომ ქალაქის მერი, მთავრობის ყოველი სხდომის დასრულების შემდეგ, მოსახლეობას, რომელიც საათობით დგას ტრანსპორტის რიგში, ახსენებს, როგორი კომფორტული, მოწესრიგებული და ახალი ტრანსპორტი ჰყავს დედაქალაქს. მისი თქმით, ამ „სიტყვებით თამაშის“ მანიპულაციის უკან რეალურად დგას ის, რომ თბილისის მუნიციპალიტეტმა ყველაზე ბოლოს შეიძინა 800 ავტობუსი და ნამდვილად ყველაზე ნაკლებად არის გაცვეთილი. ანა გოგოლაძემ განაცხადა, რომ ზუსტად ამ ლოგიკით არის შეფუთული „ქართული ოცნების“ ყველა პოლიტიკა - ფასადური და შინაარსისგან დაცლილი თუ არა, მსხვილ პერსპექტივაში არაეფექტიანი. განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც ქვეყანას ჰყავს ერთი მილიონი ადამიანი, რომელიც ელოდება სოციალურად დაუცველის სტატუსს და ყოველ მესამე ადამიანს თავი ღარიბად მიაჩნია, დედაქალაქის მერი, მოსახლეობას მუნიციპალური ტრანსპორტით სარგებლობისთვის მოუწოდებს ისარგებლონ სესხებით. მისი თქმით, როდესაც ვსაუბრობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის აქტუალიზაციაზე, არ უნდა ვაძვირებდეთ მგზავრობის საფასურს. მნიშვნელოვანია ასევე, ის, რომ თუ ადამიანმა აიღო სესხი და შემდეგ მოახერხა ავტობუსში ასვლა ან მეტროში ჩასვლა, „ან ჭერი დაემხოთ თავზე, იმიტომ რომ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულ კომპანიას აქვს გაკეთებული და პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ან მეტროს ხიდზე ვერ მოახერხებს გადასვლას იმიტომ, რომ რამდენიმე თვეა ვერ გაიხსნა და სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურომ ამდენი ხანია ვერ დაადგინა დაზიანების ხარისხი, ან ავტობუსის გაჩერებაზე იდგება და ესე ერთი ქარის დაბერვაზე შეიძლება ავტობუსის გაჩერება წამოემხოს“. აღნიშნა, რომ ალბათ უმრავლესობის წარმომადგენლებიც ხვდებიან და იაზრებენ, რა მძიმე მოცემულობა გვაქვს სატრანსპორტო მიმართულებით და მიმართა მათ: „გთხოვთ და მოგიწოდებთ, როგორც უმრავლესობის წარმომადგენლებს, მხოლოდ დამკვირვებლის პოზაში არ იყოთ ამ მძიმე მოცემულობაში და როგორც წარმომადგენლობითმა ორგანომ, გადადგათ ქმედითი ნაბიჯები, რომ სიტუაცია დაიძრას და ჩვენც ვაცხადებთ მზადყოფნას ამ სამუშაო ჯგუფში ჩასართავად“.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ, როდესაც ოპოზიციის წარმომადგენლები რაიმე კონტექსტში ახსენებენ თბილისის მერს, გაიხსენონ მათი მერობის კადიდატები, რომლებიდანაც ზოგიერთს პროგრამაც არ ჰქონდა და ზოგიერთის პროგრამაში ისეთი რალაცები ეწერა, რომ „გადარჩენილები ვართ“. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის ნახევარი გაბრაზებულია თავის ყოფილ მერობის კანდიდატზე, თუმცა უმრავლესობის წევრები ამ თემებზე არ საუბრობენ, რადგან დაკავებულები არიან ყოველდღიურობით და არსებული პრობლემებით. მისი თქმით, დღეს, თბილისის მერიას აქვს შესაძლებლობა, რომ არა ერთ და ორ ლოკაციაზე დაიწყოს თუნდაც ე.წ. „ბასლაინების“ მოწყობა, მაგრამ 2005 წელს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებამ გააუქმა „თბილქალაქპროექტი“, დაწვა იქ არსებული ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია და იმიტომ, როდესაც მერია იწყებს რომელიმე ობიექტის გაკეთებას, განსაკუთრებით ეს ეხება კომუნიკაციებს, ექსპერტების გათვლების მიუხედავად, ყოველთვის აწყდება ისეთი პრობლემებს, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელია იმის გამო, რომ წინა ხელისუფლებამ

განადგურა ქალაქის მეურნეობასთან დაკავშირებული მთელი დოკუმენტაცია და პროექტები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ნებისმიერი თემა, რომელიც დაკავშირებულია გზებთან, არის ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯი და არცერთი მერის პერიოდში არ გაკეთებულა მსგავსი რამ.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ ზოგადად არ ეთანხმება სატრანსპორტო პოლიტიკას, რადგან ხელისუფლებას უნდა ადამიანი მოარგოს სატრანსპორტო პოლიტიკას და არა პირიქით - სატრანსპორტო პოლიტიკა მოარგოს ადამიანს, რისი ყველაზე ნათელი გამოვლინებაა მეტრო. მისი თქმით, მეტროში შესვლისთანავე აღმოაჩენ, რომ იქ გზედებიან ადამიანები, რომლებიც განგიხილავენ პოტენციურ „აფერისტად“ - გიყურებენ ხელებში, რას გაატარებ და ბარათის გატარების შემდეგ მოდიან და გამოწმებენ, რაც გაფიქრებინებს, რომ სახელმწიფო არ გენდობა. ამის შემდეგ ჩადიხარ მეტროში და მეორე ხაზზე გადასვლისას, ნახავ რომ დააყენეს ადამიანები იმისათვის, რომ გადაგიყვანოს ან ერთ მხარეს ან მეორე მხარე, რაც გაფიქრებინებს, რომ სახელმწიფომ ჩავთვალა „შტერად“. აქედან გამომდინარე, როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ თავისი სახელმწიფო უყურებს ერთი მხრივ, როგორც „პოტენციურ დამნაშავეს“ და მეორე მხრივ, როგორც „სულელს“, ცხადია გიჩნდება პროტესტი. ამ ყველაფრის ფონზე, არჩილ თალაკვაძის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული სურათი, გაურკვეველი სათაურით, რომელიც არანაირ ლოგიკაში არ ჯდება, ნიშნავს იმას, რომ „მაზოლზე ფეხს აჭერს საცობში მდგომ ადამიანს და ისეთ ადამიანს, რომელსაც მეტროთი ვერ უსარგებლია ისე, რომ თავი იგრძნოს ნორმალურ, დაფასებულ მოქალაქედ“. საუბრის ბოლოს, ცოტნე კობერიძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თქვენი სატრანსპორტო პოლიტიკა ადამიანს უყურებს ზემოდან და ასეთი რაღაც არ გაგივთ, არ გამოვა... პასუხისმგებლობა არის თქვენზე, ბიუჯეტი გაქვთ თქვენ და მიხედეთ ამ პრობლემას“.

გურამ ოქროპირიძემ აღნიშნა, რომ გასულ კვირას, საქართველოს დელეგაცია, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის და დედაქალაქის საკრებულოს სახელით, იყო ბრიუსელში და მონაწილეობა მიიღო ევროპის რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების საბჭოს სესიებში, სადაც ისაუბრა ასოცირებული ტრიოს გამოწვევებზე, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მნიშვნელობაზე, იმ დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებზე, რომლებიც დღემდე გრძელდება. ასევე, განიხილა უკრაინელი დევნილებისთვის ხელშეწყობის სხვადასხვა პროგრამები, რასაც მოჰყვა საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურებები. აქვე, აღნიშნა, რომ ცენტრალურ დონეზე მოლაპარაკებების პარალელურად, ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე მჭიდრო კოორდინაცია და კომუნიკაცია ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რადგან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ დიდი ხნის წინ აირჩია დასავლური კურსი და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს მომავალი დასრულდება ევროკავშირში. გურამ ოქროპირიძემ ასევე, ისაუბრა ევროკავშირის 12 პუნქტიან რეკომენდაციაზე, განაცხადა, რომ ჩვენი პარტნიორის მოწოდებაა, ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა, თუმცა, როგორც კი გადავდივართ საქმიან მსჯელობაზე, ოპოზიციის უმრავლესობა გადადის დესტრუქციულ ქმედებებზე და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების გადასაფარად ვხედავთ „პოლიტიკურ შოუებს“ და მიმართა საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს - „თუ ვიაზრებთ საკუთარ პასუხისმგებლობას და გულწრფელად ვაპირებთ ამ ქვეყნისთვის რაღაც ღირებული გაკეთებას, კეთილი ვინებოთ ყველამ, გადავდოთ გვერდით პოლიტიკური და ვიწრო პარტიული ინტერესები და ვიმუშაოთ ერთად. ძალიან ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი“.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე საკმაოდ ბევრი ითქვა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და მის პრაქტიკულად კრახზე თბილისში, თუმცა, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება - ზაფხულის დასაწყისში, ვიქტორ წილოსანი იმყოფებოდა საკრებულოში და საუბარი ჰქონდა იმაზე, თუ რამდენად მზად იყო ქალაქი ე.წ. „ბასლაინების“ დახაზვის პროექტის შესასრულებლად. მისი თქმით, გამორიცხული იყო, რომ არ დამდგარიყო დღეს არსებული კოლაფსი მაშინ, როდესაც ასე ხელაღებით, ინფრასტრუქტურის მომზადების გარეშე, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ხაზავ ზოლს, რომელიც მნიშვნელოვანი,

აუცილებელი და საჭიროა, მაგრამ მას არ აქვს გაგრძელება და შესაბამისი ნაკადის გამჭოლი არცერთი გზა აღარ რჩება მოქალაქეს საკუთარი ტრანსპორტით გადაადგილებისთვის. ეს პროექტი უნდა დასრულდეს, მაგრამ არა იმის ხარჯზე, რომ თბილისი იყოს პარალიზებული. სატრანსპორტო პოლიტიკას, რა თქმა უნდა ეთანხმება და მხარს უჭერს, მაგრამ მას აქვს განხორციელების წესი და თანმიმდევრობა, რომლის დაცვაც აუცილებელია. მიხეილ კაკაურის თქმით, ქალაქში სატრანსპორტო კუთხით არსებული მდგომარეობა არის იმ ურბანული ქაოსის ბრალი, რომელიც დღეს თბილისში ხორციელდება და არავითარი კონკრეტული დერეფნები და ე.წ. „ბასლაინების“ დახაზვა ამას არ უშველის, რადგან ქალაქი შედის კრიზისში, რომელიც, დროთა განმავლობაში, კიდევ უფრო გამძაფრდება იმ სამშენებლო პროექტების მიღების შედეგად, რომლებსაც მხარს უჭერს საკრებულოს უმრავლესობა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ რჩება შთაბეჭდილება, რომ საკრებულო არის იმ კონკრეტული დანაშაულების დასაფარი „შირმა“, რომელსაც თავიდან ირიდებს ჩვენი ქალაქის და ქვეყნის მმართველი კლანი, რათა კოლეგიალური ორგანო გამოიყენოს პასუხისმგებლობის არიდებისთვის.

ნინო კვიციანიშვილმა განაცხადა, რომ ნებისმიერი პრობლემის გზა იწყება პრობლემის აღიარებით და ეს არის აქსიომა. მისი თქმით, დღეს, გაკეთებული განცხადებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრობლემას არ აღიარებს მმართველი გუნდის წარმომადგენლობა საკრებულოში, რაც ნიშნავს იმას, რომ არასწორად დაისახება ამ პრობლემიდან გამოსავლის გზები. რატომ გვაქვს საცობები და რატომ იქცა ქალაქი ძაბრის ფორმის ორგანიზმად, სადაც შემოდიხარ და შემდეგ ნებისმიერ ადგილზე იჭედები? იმიტომ ხომ არა, რომ დედაქალაქში სატრანსპორტო პოლიტიკა ისეთივე ქაოსურია, როგორც მშენებლობები. გაიხსენა წლების წინ შალვა ოგაბიძის მიერ გაკეთებული განცხადება, სადაც ის ამბობდა, რომ „მტკივნეული საკითხია წინა წლებში გაცემული ინტენსიური ნებართვები მრავალსართულიანი კორპუსების აშენებაზე, რომელიც განაპირობებს სატრანსპორტო კოლაფსს“ და მაგალითად მოიყვანა ასათიანის ქუჩა და რვა ცათამბჯენი. აქედან გამომდინარე, მიმართა მას - „ახლა როგორ არის საქმე? როდესაც ნინო წილოსანის ოჯახს ეხება ცათამბჯენების მშენებლობა, კოლაფსს ეს არ შექმნის თუ მფრინავი მანქანები გადასერავენ თბილისის ცას?“ ნინო კვიციანიშვილმა, აქვე, რამდენიმე რიტორიკული კითხვით მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს - „იმიტომ ხომ არ შეგვექმნა საცობები და სატრანსპორტო კოლაფსი, რომ შემოვლითი რკინიგზის პროექტი უკვე თაროზეც კი აღარ დევს იმიტომ, რომ ის მესამე პრეზიდენტის სახელს უკავშირდებოდა და სადღაც თაროს მიღმა არის ჩაკუჭული. იმიტომ ხომ არ გვაქვს ეს პრობლემები, რომ სოციალურმა სიდუხჭირემ ჩვენს ქვეყანაში ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ვინც ქვეყანა ვერ დატოვა, ყველა თბილისს მოაწყდა, რომ როგორმე ლუკმა-პური წაიღოს ოჯახში? იმიტომ ხომ არ გვაქვს ეს პრობლემა, რომ, როდესაც იგეგმება „ბასლაინები“, კონკრეტულად იმ გზის, იმ ქუჩის, იმ დასახლების მთლიან კონცეფციას უნდა შეხედო? ან იმიტომ ხომ არ დაგვემატა კიდევ დამატებითი პრობლემა, რომ რუსეთის მოქალაქეების უკონტროლო შემოდინებამ ფაქტობრივად, ამ ქალაქში, გაზარდა როგორც მოსახლეობის, ასევე, ავტომობილების რაოდენობა“. ნინო კვიციანიშვილმა აღნიშნა, რომ თბილისში უკვე გამოჩნდნენ რუსული სახელმწიფოს სანომრე ნიშნის მქონე ტაქსები, რაც მას „ცუდად ენიშნა“, რადგან ფიქრობს, რომ ეს უკვე სხვა ტიპის პრობლემაც არის, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთის მოქალაქეების დასაქმებაზე დავიწყეთ ზრუნვა. მისი თქმით, თუ ხელისუფლების წარმომადგენლები ოდესმე იტყვიან, რომ აქვთ პრობლემა და სჭირდებათ ამ პრობლემის გადაჭრის კარგი დაგეგმვა, ალბათ, ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკური გემოვნების მიუხედავად, მოიწვევენ ექსპერტებს, რადგან საქმეს ვერც ფრიდონ ინჯიას „კრეატიული“ მიდგომა უშველის, ვერც არჩილ თალაკვაძის „სელფი“ ავტომობილიდან და, რა თქმა უნდა, ვერ უშველის ის მიდგომა, რომ ჩვენ არ გვაქვს პრობლემა.

ზვიად კუპრაგამ განაცხადა, რომ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, ირაკლი ნადირაძემ ისაუბრა კონკრეტულ პრობლემაზე, რომელიც ეხება კორუფციის სავარაუდო სქემას და ასევე, ისაუბრა იმაზე, რომ რამდენიმე თვის წინ, საკრებულოს უმრავლესობამ არ გაითვალისწინა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მოწოდება, საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის დღის წესრიგიდან ერთ-ერთი პრობლემური საკითხის ამოღებასთან დაკავშირებით და შედეგად იმ საკითხს დღეს იძიებს პროკურატურა. ამის პასუხად, ბატონმა ბოჭაძემ ისაუბრა იმაზე, თუ რა ხდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიაში, რაც მისი აზრით, გამოწვეულია იმის შიშით, რომ სწორედ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის ის პარტია, რომელიც შეცვლის „ქართულ ოცნებას“. მან ასევე, ისაუბრა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებულ განცხადებებზე, რომ მათ სურთ ევროკავშირში გაწევრიანება, ხოლო ოპოზიციას - არა და განაცხადა, რომ უმრავლესობის წარმომადგენლებს ნამდვილად სურთ ევროკავშირში გაწევრიანება, თუმცა ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან არა მხოლოდ ამ საკითხს, არამედ ყველაფერს, საკრებულოშიც და პარლამენტშიც, წყვეტს ერთი ადამიანი. საუბრის ბოლოს, ზვიად კუპრაყამ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს - „ვნახეთ, რომ პრორუსული ფლანგი იქმნება თქვენთან, პარტიაში, რომელსაც ბატონმა ბიძინამ დაარქვა „ხალხის ძალა“ და ფართოვდება ეს პრორუსული ფლანგი... საკრებულოდანაც ხომ არ უნდა ველოდოთ იმ ფლანგზე ვიღაც-ვიღაცების გადაბარებას“.

ნინო ვარდოსანიძემ განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომაზე ბევრი ითქვა სატრანსპორტო პოლიტიკაზე და კარგია, რომ უმეტესობა ვთანხმდებით, რომ პოლიტიკა არის სწორი და ეს რეფორმა ბოლომდე არის განსახორციელებელი. თუმცა, რამდენიმე კოლეგისგან გასაკვირია ისეთი საუბარი, თითქოს ჩვენ აქ არ ვცხოვრობთ, ვერ ვხედავთ თუ სადმე რამე პრობლემაა და ცდილობენ წარმოაჩინონ, რომ თითქოს ხელისუფლების წარმომადგენლები მოწყვეტილები ვართ რეალობასაც და ხალხსაც, რაც ასე ნამდვილად არ არის და ამის ნათელი მაგალითია მთავრობის სხდომებზე და ბრიფინგებზე საკრებულოს თავმჯდომარის და ქალაქის მერის მხრიდან ამ პრობლემებზე და მათი მოგვარების გზებზე საუბარი. ნინო ვარდოსანიძის თქმით, თუ რეალურად გვინდა შინაარსობრივი საუბარი, მაშინ უნდა ვახსენოთ პრობლემა და ერთად დავსახოთ მისი გადაჭრის გზა და არა ყოველ წინადადებაში ვახსენოთ კორუფცია, რაც, მისი აზრით, ამა თუ იმ თემის ხელოვნურად დამძიმებაა, რაც, თავის მხრივ, არასწორი და მიუღებელია.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ დედაქალაქში გვაქვს ძალიან ბევრი პრობლემა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე, სოციალური მიმართულებით, საცობების და საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით გვაქვს უმძიმესი მდგომარეობა. ასევე, პრობლემები გვაქვს ავარიული კორპუსების, გამწვანების და სხვა მრავალი მიმართულებით და ამ დროს, კახა კალაძე, მთელი თავისი ოჯახით, დაკავებულია სამშენებლო ბიზნესით. მისი თქმით, თუ აქამდე ასპარეზზე იყო კახა კალაძის მეჯვარე, ბატონი წულაია და „არქი“, რომელსაც მილიონობით ლარის ქონება გადაეცა ერთ ლარად, ახლა ასპარეზზე გამოჩნდა მისი მეუღლის მეჯვარის, მაკა კვიციანის ქმარი და კომპანია „თეთრი კვადრატი“. აღნიშნა, რომ ეს არ არის ზოგადი სახელები და გვარები, მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია კონკრეტული საკითხი, რომლის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებაც ითხოვა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე, რადგან ის არის ქალაქისთვის მავნებლური საკითხი და ისაუბრა იმაზე, თუ რატომ ფიქრობს ასე. 2017 წლის 9 ნოემბერს, დედაქალაქმა, ვაკეში, ნაფეტვრების ტერიტორიაზე გაყიდა 9600 კვ.მ., 1 კვ.მ. 12 აშშ დოლარად და ეს მიწის ნაკვეთი ასე იაფად გაიყიდა იმიტომ, რომ იქ უნდა აშენებულიყო საგანმანათლებლო-სპორტული კომპლექსი. აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება დღემდე აქვს ხსენებულ მიწის ნაკვეთს და შესაბამისად, ოფიციალურ დოკუმენტებშიც ასე ფიქსირდება. ირაკლი ნადირაძის თქმით, ეს ტერიტორია არის უნიკალური, თბილისზე არაჩვეულებრივი ხედით, კარგი ეკოლოგიით, გარშემო გამწვანებით და რომ არ ყოფილიყო ზემოთ ხსენებული პირობა, ეს მიწის ნაკვეთი ალბათ 50-ჯერ ძვირად გაიყიდებოდა და ეს ფული მოხმარდებოდა თბილისელების ბევრ პრობლემას. ამ ტერიტორიაზე დამტკიცებული იყო კონკრეტული სპორტული კომპლექსის მშენებლობა - სპორტული მოედანი, საცურაო აუზები, მიუდოს და ტანვარჯიშის დარბაზები, შესაბამისი ადმინისტრაციული შენობა და კამპუსი, რომლის ნაცვლად დღეს უნდა მივიღოთ საცხოვრებელი კორპუსი. მისი თქმით, ტრაგედია არის არა ის, რომ კახა კალაძის და მისი მეუღლის მეჯვარეები სამშენებლო ბიზნესში არიან, არამედ ის, რომ ამ კომპანიის წარმომადგენლები საკრებულოს უმრავლესობის წევრებს არაფრად აგდებენ და უკვე

რამდენიმე თვეა დაწყებული აქვთ ბინების გაყიდვა, რადგან იციან, რომ, სამწუხაროდ, ეს საკრებულო გადააქციეს „ერთ დიდ ფიქციად“ და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ ამ მიწის ნაკვეთს ზუსტად იგივე ბედი ეწევა რა ბედიც ეწია იმ პრობლემურ მიწის ნაკვეთს, რომელიც დღეს პროკურატურის და სასამართლოს მიერ არის დაყადაღებული. განაცხადა, რომ მაშინ, როდესაც დედაქალაქს სჭირდება სპორტული კომპლექსები და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები წინა ხელისუფლებას, ხშირად სამართლიანად, ადანაშაულებენ სპორტული მოედნების გაყიდვაში, დღეს თავად ბინებზე გაყიდვას ჯერ არაშენებული სპორტული კომპლექსი, რაც არის დანაშაული და ამაზე კახა კალამეს აუცილებლად მოუწევს პასუხების გაცემა პროკურატურაში და სასამართლოში ან ამ რეჟიმის პირობებში, ან შემდგომ პერიოდში.

გიორგი ტყემალაძემ ირაკლი ნადირაძის განცხადებებს „ბინმური დეზინფორმაცია და კამპანია“ უწოდა და განაცხადა, რომ ეს კომპანია ბაზარზე ოპერირებს არაერთი წელია და ყველამ კარგად იცის, რომ „თეთრი კვადრატი“ არის „M2“-ის ერთ-ერთი განაყოფი. რაც შეეხება ამ ტერიტორიაზე განსახორციელებელი მშენებლობის პროექტს, განმარტა, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, არანაირი ცვლილება არ არის და ცვლილება წარმოდგენილია კამპუსების ნაწილში, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ დღეს იქ არსებული ურბანული გარემო იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შეიძლება დასაშვები გახდეს საცხოვრებელი ფუნქციის განვითარება. გიორგი ტყემალაძე აქვე გამოეხმაურა თანხასთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ, რა თქმა უნდა, ფუნქციის ცვლილება გამოიწვევს შესაბამისი თანხის ბიუჯეტში მობილიზებას და იმაზე საუბარი, თითქოს ტერიტორია გაიყიდა იაფად, სიცრუეა. აქედან გამომდინარე, საკრებულოს ოპოზიციის წარმომადგენლებს მოუწოდა კორექტულობისკენ და საკრებულოს მიერ მისაღები გადაწყვეტილებების შინაარსზე საუბრისკენ.

ოთარ გრიგოლიამ ირაკლი ნადირაძის განცხადებას „პირდაპირი ცილისწამება“ და „ადამიანის ოჯახზე უარგუმენტოდ თავდასხმა“ უწოდა და განაცხადა, რომ პარტიაში არსებული პრობლემების გადასაფარად საჭირო არ არის საკრებულოში „შოუების მოწყობა“. მისი თქმით, კარგად ჩანს ირაკლი ნადირაძის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მაშინ, როდესაც ამბობს, რომ კომპანიამ ეს მიწის ნაკვეთი შეისყიდა 12 აშშ დოლარად და ბიუჯეტს დააკლდა შემოსავალი, რადგან მან იცის, რომ, როდესაც ხორციელდება ზონის ცვლილება, კომპანია ვალდებულია ფასთა შორის სხვაობა ჩარიცხოს ბიუჯეტში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ამბობს ტყუილს, რომ ბიუჯეტმა ფული დაკარგა. ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ასე ხელაღებით პიროვნული შეურაცხყოფის მიყენება და ოჯახზე თავდასხმა არ შეიძლება და მიმართა ირაკლი ნადირაძეს: „თუ გაქვთ კონკრეტული არგუმენტები და მტკიცებულებები, წარმოადგინეთ... ტყუილების ლაპარაკით თქვენ დამაჯერებლობას ვერ შეიძენთ“. ოთარ გრიგოლია ასევე, გამოეხმაურა სატრანსპორტო რეფორმასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებებს და განაცხადა, რომ ზოგიერთმა კოლეგამ გააკეთა არაკვალიფიციური განცხადება, რადგან იმაზე საუბარი, რომ ეს პოლიტიკა არასწორია და დღევანდელმა ხელისუფლებამ ნაბიჯები არ გადადგა, არის არა მხოლოდ ტყუილი, არამედ კაპიტალიზაცია იმ პრობლემაზე, რომელმაც მომავალში აუცილებლად უნდა მოიტანოს ქალაქში უკეთესი სატრანსპორტო სისტემა. დღეს ამ რეფორმას ალტერნატივა არ გააჩნია და ყველა ერთად უნდა ვიდგეთ ამ გზაზე. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენის საკითხს და აღნიშნა, რომ სიცრუეა თითქოს თბილისის მერიამ უარი თქვა ავტობუსების შესყიდვაზე, რადგან 2020-21 წლებში, პანდემიის პერიოდში, მაღალი რისკიდან გამომდინარე, იზიარდმა, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, დაარღვია სასესხო ხელშეკრულება. თუმცა, ამ ეტაპზე, მოიძებნა სხვა ალტერნატივა, კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს თანხას 18 მეტრიანი ავტობუსების შესაძენად და იმ სადგომის ასაშენებლად, რომელიც სჭირდება ამ ავტობუსების მომსახურებას და ძალიან მოკლე პერიოდში გაიხსება ის დერეფნები, რომლებსაც ამდენი ხნის განმავლობაში ველოდით.

გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიაში არსებული შიდა დაპირისპირება გამოვიდა სააშკარაოზე. ეს ხალხი ჯარისკაცებისთვის და

თბილისელებისთვის მოპარულ მილიონებს ვერ ინაწილებს და ამბობს, რომ „ერთი ბელადი“ განსაცდელშია, თუმცა „მეორე ბელადის“, კეზერაშვილის, კარზე ინაწილებენ გავლენებს და კომპრომატებით ებრძვიან ერთმანეთს. ამ პარტიის ყველა განაყოფს აერთიანებს ორი მთავარი რამ: გამოუსწორებელი წარსული, რომელიც ამ ხალხმა ჩვენს ქვეყანას შეუქმნა და ქვეყნის ევროპული, მშვიდი განვითარების მომავლის მტრობა. ისინი არ მონაწილეობენ ევროკავშირის 12 პუნქტიანი რეკომენდაციის ირგვლივ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში, მეტიც, ეწინააღმდეგებიან ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს და ცდილობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენთვის ევროკავშირის კანდიდატი წევრის სტატუსის მონიჭებას და შემდგომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა და ქალაქი გააგრძელებს რეფორმების გატარებას და განვითარებას. აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია თბილისის ბიუჯეტის გაზრდა 105000000 ლარით, რომლის დიდი ნაწილი მოხმარდება, მათ შორის, კიდევ უფრო მეტი სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას და იმ რეალურ გამოწვევებს, რომელიც არსებობს სატრანსპორტო კუთხით. აღნიშნა, რომ გაგრძელდება სატრანსპორტო მიმართულებით დაწყებული რეფორმა, რომლის ფარგლებშიც უკვე სრულად ჩანაცვლდა ავტობუსები და მიკროავტობუსები, მეტროს დაემატა შემადგენლობები, მიმდინარეობს ტაქსების და პარკირების რეფორმა და თბილისში აუცილებლად შემოვა 18 მეტრიანი ავტობუსები. მისი თქმით, ეს ყველაფერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებისთვის არ არის საინტერესო, რადგან ურჩევნათ ადამიანს მიაყენონ შეურაცხყოფა და ამით გადაფარონ პარტიაში არსებული დაპირისპირება, თუმცა ამ ყველაფერს ხედავს საზოგადოება, რომელიც კიდევ ერთხელ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას გეგმიურ არჩევნებზე და არა ვადამდელ არჩევნებზე, რომელიც ალბათ დაინიშნება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიაში.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა გიორგი ჩაკვეტაძეს - „რატომ ნერვიულობთ ჩვენ პარტიაში ვადამდელი არჩევნები იქნება თუ მორიგი, ვერ ვხვდები. ჩვენ, როგორმე მივხედავთ ჩვენ პარტიაში ვადამდელი არჩევნები ჩავატაროთ თუ მორიგი“. განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ პარტიის „განდგომილებს“ ტექტებს უწერს ირაკლი კობახიძე და კიდევ ერთხელ მიმართა გიორგი ჩაკვეტაძეს და საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ანტიამერიკული და ანტიევროპული განცხადებები თქვენ განაყოფებთან მოიკითხეთ და შინაგანად, სავაუდოდ, ყველა ისეთები ხართ, უბრალოდ, ფასადურად ხართ ევროპისკენ მიმართული, რაც დადასტურდა იმით, რაც ხდება პარლამენტში და მიხედვით თქვენს პარტიას და უმრავლესობას, ჩვენ, როგორმე, მივხედავთ ჩვენს თავს. ათი წელია სხვა არაფერი გიკეთებიათ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლის მეტი, მაგრამ შედეგად ვდგავართ და კიდევ დიდხანს ვიდგებით“. ლილე ლიპარტელიანმა ისაუბრა ვაკეში, ნაფეტვრების ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით წარმოდგენილ საკითხზე და აღნიშნა, რომ „თეთრი კვადრატი“ და მასთან დაკავშირებული ორი კომპანია, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, დაფუძნებულია 2020-21 წლებში, არანაირი გამოცდილება ამ კომპანიას არ გააჩნია და ის, რომ კომპანიის მფლობელი იყო „M2“-ის გენერალური დირექტორი, არაფერს ნიშნავს გამოცდილების თვალსაზრისით. მისი თქმით, კომპანიის მფლობელის მეუღლე არის კახა კალაძის მეუღლის მეჯვარე და არავითარ ცილისწამებას არ აქვს ადგილი. რაც შეეხება პროექტს, აღნიშნა, რომ გეგმარებითი დავალების დამტკიცების შემდეგ, 2020 წელს, აღნიშნულმა კომპანიამ რამდენჯერმე მიმართა ურბანულ სამსახურს გრგ-ს დამტკიცების წინადადებით, თუმცა, ყველა ეტაპზე მიმართვა დარჩა განუხილველი, რისი მიზეზიც იყო, რომ ტერიტორია უნდა განვითარებულიყო გეგმარებითი დავალების შესაბამისად. 2021 წელს, საკრებულოში შემოვიდა დოკუმენტაცია, რომელიც ატვირთული არ არის შესაბამის საიტზე და ამასთანავე ურბანული სამსახური ამბობს, რომ გრგ-ს ცვლილების წინააღმდეგი არ არის. იქიდან გამომდინარე, რომ ურბანული სამსახურის ვალდებულებაა დოკუმენტაციის და ასევე სამსახურის პასუხის ატვირთვა შესაბამის საიტზე, ძალიან დიდ ეჭვს ბადებს ის, თუ როგორ იქნა გადაწყვეტილება მიღებული და წარმოდგენილი საკრებულოში. ლილე ლიპარტელიანმა ასევე, ისაუბრა ქონების მართვის სააგენტოსა და ამ კომპანიის უფლებამოცვლეს შორის

გაფორმებულ ხელშეკრულებაზე და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ სამი წლის ვადაში უნდა განხორციელებულიყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა და განაცხადა, რომ შესაბამისი სამსახურებიდან გამოითხოვს დოკუმენტაციას იმის შესახებ, თუ რა ქმედებები განახორციელა სააგენტომ ამ ვალდებულებასთან დაკავშირებით, რატომ არ დააჯარიმა ან რატომ არ შეუწყვიტა კომპანიას ხელშეკრულება და აუცილებლად მიმართავს საგამოძიებო ორგანოებს.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ დღეს ვიხილეთ არა მარტო პირადი ცილისწამება, არამედ ადამიანის ოჯახის წევრების შეურაცხყოფა, რაც, როგორც მინიმუმ, ძალიან დიდი სირცხვილია. მისი თქმით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს ავიწყდებათ, თუ რომელ პარტიას წარმოადგენენ და ვინ იყო მათი მერი, რომელმაც თავად აღიარა, რომ „ჭამა ორმოცდაათი მილიონი“. განაცხადა, რომ იმაზე, რასაც დღეს დედაქალაქის მერია აკეთებს, გარკვეული პასუხისმგებლობა არის საკრებულოს უმრავლესობის, რისთვისაც მზად არის და მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს - „მაინტერესებს, რომელიმე გარკვეულ პასუხისმგებლობას იღებთ იმ გაყიდულ დიდ 24 მოედანზე, სადაც უკვე ძალიან დიდი კორპუსები დგას, იმ გაყიდულ პატარა 17 მოედანზე, სადაც უკვე ცოტა შედარებით პატარა კორპუსები დგას, აუზებზე და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე?“ მისი თქმით, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საუბრობენ უნებართვო მშენებლობებზე, ისიც უნდა გვითხრან თუ როდის და ვისი აშენებულია თბილისის შემოსასვლელში არსებული დიდი შენობა, რომლის მშენებლობაზეც ნებართვა არასდროს გაცემულა. ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ კახა კალაძე არის ადამიანი, რომელიც, თავის გუნდთან ერთად, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი დედაქალაქისთვის და მისი მოსახლეობისთვის ყოველი მომდევნო დღე იყოს უკეთესი. გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას, აღნიშნა, რომ მისი მხრიდან, საკრებულოს ყველა სხდომაზე, საუბარია თაღლითობაზე და კორუფციაზე, თუმცა ავიწყდება ვის წარმოადგენს საკრებულოში და სწორედ მისი გუნდის ხელმძღვანელები არიან თაღლითები. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ კახა კალაძე და მისი გუნდი ყოველთვის არის იქ, სადაც დედაქალაქს სჭირდება. სწორედ ეს და მისი გაკეთებული საქმეები ანერვიულებს ოპოზიციას და მიმართა მათ - „კიდევ ძალიან ბევრი გექნებათ სანერვიულო“.

კონსტანტინე ზარნაძის თქმით, „კახა კალაძე არის საუკეთესო მერი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში“, რაც ვიცით, როგორც ჩვენ, ასევე, ოპოზიციამ, მოსახლეობამ და ყველა იმ სტუმარმა, რომელიც ჩვენს დედაქალაქში ჩამოდის ბოლო წლების განმავლობაში და კახა კალაძისთვის კორუფციის დაბრალების მცდელობა და ამ ნარატივით საკუთარი არეულობის გადაფარვა, არავის გამოუვა. განაცხადა, რომ „ცალკე ისტერიის ამბავია“ ის, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები გადასულები არიან ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, ნათესავებზე და აღნიშნა, რომ ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის ნათესავმაც შეიტანა საკრებულოში მაღალსართულიანი მშენებლობის პროექტი, თუმცა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს ამის აფიშირება არ მოუხდენიათ. მისი თქმით, თუ რომელიმე პროექტს აქვს ხარვეზი ან არის დედაქალაქისთვის დამაზიანებელი, ყველას შეუძლია საჩივრით მიმართოს შესაბამის უწყებებს, რომლებიც დაადგენენ არასწორად იქნა თუ არა მიღებული გადაწყვეტილება. კონსტანტინე ზარნაძემ მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომ საუბარი და ტალახის სროლა სახელებზე, გვარებზე, ოჯახის წევრებზე, ნათესავებზე ძალიან ცუდი პრაქტიკაა და ასე ურთიერთობა არათუ ამ დარბაზში, არამედ ამ ქვეყანაში ძალიან გაგვიჭირდება, რადგან ოჯახი, მეგობრები და ნათესავები ყველა ადამიანისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და მათზე დაუმსახურებლად ტალახის სროლას არავინ არავის აპატიებს. კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ტრანსპორტთან დაკავშირებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ ჩვენი დედაქალაქისთვის სატრანსპორტო რეფორმა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული და სწორი მიდგომაა ის, რომ უნდა დაიხაზოს რაც შეიძლება მეტი „ბასლაინი“, შემოყვანილი იქნა ახალი ავტობუსები და მიკროავტობუსები, მომავალში ველოდებით, რომ ავტობუსის ზოლი გაიმართება დედაქალაქის მასშტაბით, გვექნება ათი ძირითადი სატრანსპორტო დერეფანი და გვეყოლება 18 მეტრიანი ავტობუსები, რითიც

საბოლოო ჯამში, მივიღებთ ისეთ სატრანსპორტო პოლიტიკას, როგორც იყო დაანონსებული წინასაარჩევნო პერიოდში.

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდება „პოლიტიკური მხილება“ და „პოლიტიკური ინტრიგანობა“ და ის, რაც ჩვენ დღეს ვიხილეთ, არის „პოლიტიკური ინტრიგანობა“, რადგან დღეს თუ რამეა თბილისის მერიის ხელწერა, ეს არის: რეკრეაციული ზონები, გამაჯანსაღებელი ადგილები და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და ეს ყველაფერი განხორციელდება იმ პროექტით, რომელზეც უარყოფით კონტექსტში საუბრობს ოპოზიცია. გამოეხმაურა ტრანსპორტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებს და აღნიშნა, რომ დღეს დედაქალაქში კეთდება „საშვილიშვილო საქმე“ - იცვლება მთელი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები და ეს კეთდება იმისთვის, რომ დედაქალაქმა მიიღოს ახალი იერსახე და ვიცხოვროთ აბსოლუტურად სხვა სიტუაციაში. ზურაბ აბაშიძის თქმით, 10 თვეა ისმის კახა კალაძის კრიტიკა, მაგრამ რეალობა არის ის, რომ ამ ადამიანის უკან დგას გაკეთებული საქმეები. აქვე, გამოეხმაურა 18 მეტრიანი ავტობუსების შექმნასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი ერთ-ერთი საკითხი ეხება თბილისის ბიუჯეტის გაზრდას და შესაბამისად, მუნიციპალიტეტი თავად შეიძენს ამ ავტობუსებს და აღარ აიღებს იზიარდის სესხს. საურბის ბოლოს, განაცხადა, რომ ოპონენტები ხაზს უსვამენ თავიანთ პატრიოტიზმს, თუმცა საკრებულოს წინა სხდომაზე, სადაც დღის წესრიგით წარმოდგენილი ბოლო რამდენიმე საკითხი ეხებოდა თბილისის ქუჩებისთვის ომში გარდაცვლილი გმირების სახელების მინიჭებას, ისინი საკრებულოს სხდომათა დარბაზშიც კი არ ისხდნენ და ზოგადად, როდესაც მიიღება მსგავსი გადაწყვეტილებები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ოპოზიციის წარმომადგენლები ამ პროცესში მონაწილეობას საერთოდ არ იღებენ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ზოგიერთი პირის მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N79 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

3. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N19-სა და N21-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.25.002.108, N01.19.25.002.113, N01.19.25.002.114) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

4. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრორაიონის კორპუს N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

5. „ქალაქ თბილისში, გიორგი ბერიაშვილის ქუჩა N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.033.01.014) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

6. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, სოხუმის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.010.066) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ალექსანდრე მრევლიშვილის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.182) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.002.001.31.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, დიდგორის I ჩიხის N2-ში მდებარე 45.66 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.101.015.02.509) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონი, II კვარტლი, კორპუსი N7-ში მდებარე 62.00 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.07.028.001.01.043) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, სოფელი ოქროყანა, მირზა გელოვანის I შესახვევის N4-ში მდებარე 74.63 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.060.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, თორნიკე ერისთავის ქუჩის ჩიხი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.08.036.094.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.14.003.008.01.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.875.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბელიაშვილის მე-2 ჩიხი N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.01.006.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაგრძელებასა და ფეიქრების ქუჩის გადაკვეთის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.08.039.210) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობა. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ბაგების სატყეო ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდებოდა რეკრეაციული ზონა 2, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ამ არეალზე, ფაქტობრივად არის ტყე, ახალი გენ.გეგმით მასზე გავრცელდა სატყეო ზონა და შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა დაიწყო მონაცვლეობები. წარმოდგენილ შემთხვევაში, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი არის 1001 კვ.მ., რომლის ღირებულებაა 389000 ლარი, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ფეიქრების ქუჩის მიმდებარედ. აღსანიშნავია, რომ ამ მიწის ნაკვეთს ადევს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1, თუმცა კერძო საკუთრებაში გადაცემა ხდება შეზღუდვით, რომელიც ითვალისწინებს ორსართულიანი კომერციული ფუნქციის შენობის განთავსების შესაძლებლობას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ გარკვეული პერიოდის წინ, იყო მსჯელობა წყნეთში, სარეკრეაციო ზონაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით, სადაც რამდენიმე რეგისტრაციაა. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ მუნიციპალიტეტი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკებები უკლებლივ ყველა კერძო მესაკუთრესთან, ვინც თანახმა იქნება, რომ მონაცვლეობა განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის შეფასებით. მისი თქმით, აღნიშნული საკითხი არის დაახლოებით „დიდმის ტყე-პარკის“ მოდელი და იმედი გამოთქვა, რომ ამ არეალში მომავალშიც იქნება მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხები.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, რა განსხვავებაა ამ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და ცინარიძის საკუთრებაში არსებულ 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთში, რომელშიც, მისი თქმით, მუნიციპალიტეტმა გაუცვალა „მთელი ქალაქი“ და პროკურატურამ დაადო ყადაღა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ცინარიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს ედო საცხოვრებელი ზონა, თუმცა ახლი გენ.გეგმით დაედო სატყეო ზონა და შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი შეფასდა საცხოვრებელი ზონის პარამეტრებით. ხოლო ამ შემთხვევაში, ამ არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა, ახალი გენ.გეგმით დაედო სატყეო ზონა და მონაცვლეობა განხორციელდება სარეკრეაციო ზონის შეფასების შესაბამისად.

ირაკლი თავართქილაძემ განმარტა, რომ ადრე, სარეკრეაციო ზონა 2, ფაქტობრივად, განიხილებოდა როგორც საცხოვრებელი ზონა 1, თუმცა, როდესაც მუნიციპალიტეტი კითხვით მიმართავს ლევნ სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, აღნიშნავს, რომ ტერიტორია არ განიხილოს ისე, როგორც საცხოვრებელი ზონა 1, რადგან სარეკრეაციო ზონა 2-ში მშენებლობას სჭირდება სპეციალური ნებართვა, რომელიც არავინ იცის გაიცემა თუ არა და შესაბამისად, შეფასება ხორციელდება ამ რისკების გათვალისწინებით. სწორედ აქედან გამომდინარე არის საცხოვრებელი ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ის შეფასებისას ფასთა შორის სხვაობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მარი ნიკას“ (ს/ნ.: 430805186) შორის 2022 წლის 11 მარტს გაფორმებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ელექტრომობილის დასამუხტი (ე.წ. „ნელი დამტენის“) აპარატების დამონტაჟებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებით“ დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ პროექტით წარმოდგენილია კომპანიისთვის ვალდებულების დადასტურების საკითხი. კერძოდ, შპს „მარი ნიკამ“ კ2 კოეფიციენტის მატების ფარგლებში, აიღო ვალდებულება, რომ ქალაქის ტერიტორიაზე განახორციელებდა სამი ელექტრო დამტენის განთავსებას. ამ შემთხვევაში ვალდებულება შესრულებულია და ე.წ. ნელი დამტენები დამონტაჟებულია ვარკეთილში, მებრძოლთა ქუჩაზე, ვარკეთილი III, მე-3ა მ/რ-ნის კორპ. N3/25-თან და ზღვისუბნის დასახლება, მე-3 მ/რ-ში. ამასთანავე, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება 9800 ლარის პირგასამტეხლოს გადახდისგან, ვინაიდან ვადის დაგვიანება გამოწვეული იყო შპს „თელასის“ მიერ ელექტროენერჯის მიყვანის ვადების დარღვევიდან გამომდინარე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კომპანიის ვალდებულებაშია ერთი წლის განმავლობაში სრულად გადაიხადოს ელექტროენერჯის ხარჯი და უზრუნველყოს აღნიშნული დამტენების საგარანტიო მომსახურება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სოლუმ დეველოპმენტს“ (ს/ნ.: 405148086) შორის, 2021 წლის 17 თებერვალს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №-567-6-25951 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2021 წელს გამოცხადებულ აუქციონში, გლდანის დასახლება, მე-5 მ/რ-ში გაიყიდა 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო საფასურმა შეადგინა 480000 ლარი. აუქციონის ერთ-ერთი პირობა იყო მწვანე ნარგავების შენარჩუნება, თუმცა, კომპანიამ აღნიშნული პირობის მოხსნის თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტს, რაზეც დადებითი პოზიცია აქვს დაფიქსირებული მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს. ამასთანავე, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, აუქციონით გათვალისწინებული პირობის არარსებობის შემთხვევაში, ფასთა შორის სხვაობა იქნებოდა 39681 ლარი, რასაც, პირობის გაუქმების შემთხვევაში, კომპანია გადაიხდის ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების წესებში ცვლილება და ზუსტდება მაკომპრომისირებელი ღონისძიების სახით მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ბინა-ერთეულების ფართის დათვლის წესი. კერძოდ, ემატება ჩანაწერი, რომ შესაბამისი ოდენობის ფასის გადახდის შემთხვევაში, ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის დათვლისას, გადასაცემი ფართობი აღარ დამრგვალდება 50 კვ.მ.-მდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-0322252138-03 09.09.2022, N12-03222551-03 12.09.2022, N12-03222586-03 15.09.2022, N12-03222655-03 22.09.2022, N12-032226571-03 22.09.2022, N12-03222724-03 29.09.2022, N12-0322272131-03 29.09.2022, N12-0322278103-03 05.10.2022 და N12-0322278111-03 05.10.2022, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-03222586-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ პოზიცია, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და აღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში, წმინდაწყლის ქუჩა N1, N9, N11, N13, N15, N17, 17-ა-ში ლისზე, წყაროს თავთან არსებულ მიწის ნაკვეთებსა ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, ავთანდილის ქუჩა, N72,N70, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.09.762, N72.16.09.761, N72.16.09.715, N72.16.09.700, N72.16.09.698, N72.16.09.849, N72.16.09.848, N72.16.09.850, N72.16.09.165, N72.16.09.845, N72.16.09.681, N72.16.09.710, N72.16.09.653, N72.16.09.655, N72.16.09.697, N72.16.27.059, N72.16.27.146, N72.16.27.145, N72.16.27.144, N72.16.27.005) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 34000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ოცდარვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განაშენიანება, საცხოვრებელი ზონა 1-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2; ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ის მიმდებარედ (ნაკვეთი: 08/081) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.008.089; N01.14.06.008.349; N01.14.06.008.350) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 46000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება ოთხი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქალაქ თბილისში, სოფელი თხინვალაში, იოსებ კეჭაყმაძის IV შესახვევი, N12; N10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.499; N72.16.23.500) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 10000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, განთავსდება თოთხმეტი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.504; N72.16.23.216; N72.16.23.863) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 8900 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი

დავალების თანახმად, განთავსდება ათი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქ.თბილისში, ვაკე - საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება და საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, ერთი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის განთავსება, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 6 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის საცხოვრებელ რაიონს შორის (ნაკვეთი 14/174); ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ის დასახლების IV მიკრორაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.36.014.174; N01.19.36.016.765) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის N255 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობია 7800 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია შენობა-ნაგებობების განთავსების კონფიგურაციის ცვლილება, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქ.თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის მოადგილის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით, სააგენტოს დაევალა გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის ფარგლებშიც ძალადაკარგულად ცხადდება რჩეულიშვილის ქუჩაზე დამტკიცებული გრგ-ს ნაწილი, კერძოდ, ერთ საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 350 კვ.მ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N10 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N21-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.007.073) ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკის ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N54 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, წარმოდგენილი გრგ-ს ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვა, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აღარ შენდება გრგ-თი გათვალისწინებული ინფექციური საავადმყოფო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

47. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გულიას ქ.N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.18.09.004.048) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 16 აგვისტოს N 262 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებისა და „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, გულიას ქ. N3, N3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N01.18.09.004.086) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 მარტის N96 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი გრგ-ს ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომართვა, რაც გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე აღარ შენდება გრგ-თი გათვალისწინებული ბიზნეს-ცენტრი. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აპირებს ეკონომიკის სამინისტროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის ოფისის მშენებლობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

48. „ქალაქ თბილისში, კრწანისის ქ. N50-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, კრწანისის ქუჩა N62; ქალაქი თბილისი, კრწანისის II ჩიხი N2-ში, ქალაქი თბილისი, კრწანისის I ჩიხი; ქალაქი თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.162; N01.18.06.015.189; N01.18.06.015.159; N01.18.06.015.084; N01.18.06.015.237; N01.18.06.015.235) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 9 აგვისტოს N375 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 12526 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ტერიტორიის შემცირება, კერძოდ, ამოღებული იქნება ორი საკადასტრო ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

49. „ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის I შესახვევი, N39; N41; N43; N45 და N47-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.23.461; N72.16.23.462; N72.16.23.463; N72.16.23.464; N72.16.23.460) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტაძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 77000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია

სამოცი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, ნავთლუდის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ხუთი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.08.31.544, N81.08.31.581, N81.08.31.511) სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 286000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორას ოცდარვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.009.176; N01.72.14.009.639; N01.72.14.009.659) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ

და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 19400 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ცხრა მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 8 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.089) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 7400 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ორი მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, რომელთაგან ერთი შენობა იქნება 11 სართულიანი, ხოლო მეორე - 19 სართულიანი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ. 07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019; N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008; N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055; N01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტინძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 29000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „ქალაქ თბილისში, კათოლიკოსი აბრაჰამ I-ის ქუჩა, N13; N15ა; N23ა; N21ა; N17ა; N16; N41; N39; N20; N18; N12; N10; N23; N25; N14; N21; N15; N19; N17-ში; ქალაქი თბილისი, დიდოში; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის მეაბრეშუმეობის კვლევითი ინსტიტუტის ფართობების მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე; ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N41; N39-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.230; N01.72.14.014.858; N01.72.14.014.626; N01.72.14.014.629; N01.72.14.014.704; N01.72.14.014.264; N01.72.14.014.942; N01.72.14.014.242; N01.72.14.014.438; N01.72.14.014.816; N01.72.14.014.219; N01.72.14.014.339; N01.72.14.014.232; N01.72.14.014.225; N01.72.14.014.222; N01.72.14.014.262; N01.72.14.014.738; N01.72.14.014.987; N01.72.14.014.220; N01.72.14.014.677; N01.72.14.014.255) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 20000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ცხრა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, რომელთა 75% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 25% საოფისე-კომერციულ ფუნქციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში N01.14.06.003.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარე ტერიტორიაზე (საერთო ფართობი: 24205 კვ.მ.) სასწავლო-სპორტული კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N150 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი 24000 კვ.მ. პროექტით წარმოდგენილია 2019 წელს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ცვლილება, რომელიც მოიაზრებს ფუნქციური ზონირების, ფუნქციური გამოყენების სახეობის ცვლილებას. კერძოდ, დაგეგმილია, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა და ამასთანავე, შენარჩუნებული იქნება პირობები: სპორტული კომპლექსის, ადმინისტრაციის, საცურაო აუზის, სპორტული მოედნის და დამხმარე შენობა-ნაგებობების განვითარება-განთავსება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით 2021 წლამდე, გრგ-ს წარდგენა ურბანულ სამსახურში მოხდა ოთხჯერ, თუმცა ოთხივეჯერ დარჩა განუხილველი, რაც ფაქტობრივად უარყოფითი პასუხია გრგ-ს ცვლილებაზე. აქვე აღნიშნა, რომ შესაბამის საიტზე ატვირთული არ არის 2021 წლის მიმართვა და სამსახურის პასუხი. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ არ არის შესაბამის საიტზე ატვირთული აღნიშნული დოკუმენტაცია, რამ გამოიწვია ურბანული სამსახურის პოზიციის მკვეთრი ცვლილება მანამდე არსებული აურყოფითი პასუხების ფონზე და სამართლებრივად დასაშვებია თუ არა საცხოვრებელი ზონა 5-ის ფარგლებში სპორტული მოედნის მოწყობა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ „ეს არის წარმოუდგენელი მასშტაბის უსინდისობა, რომ იყიდო ტერიტორია სპორტული კომპლექსის მოწყობის პირობით და, საბოლოო ჯამში, იქ ააშენო კორპუსი და ნაბართვის მიცემამდე, იმ პროცესში, როდესაც ჩვენ აქ, ამ საკითხს განვიხილავთ, კომპანიას ჰყოფნის თავზედობა, რომ ნებართვის მიღებამდე, როგორც გაირკვა, ყოფიან ამ ტერიტორიას. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ყველაფერი გადაწყვეტილია და გადაწყვეტილი ვერ იქნება რომ არა დედაქალაქის მერის, ბატონი კალამის, უშუალო ჩართულობა ამ საკითხის გადაწყვეტაში. იმიტომ, რომ სხვანაირად არ აიხსნება, როგორ შეიძლება, რომ სპორტული კომპლექსის ადგილას მიიღო საცხოვრებელი კორპუსი. ეს არის კორუფციის, საზოგადოების დაცინვის და ძალიან ბევრი ცუდი რაღაცის ნაზავი. მე მესმის, რომ ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია წინასწარ, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა გთხოვოთ, დაფიქრდეთ, რა პრეცედენტი იქმნება ამით. როდესაც ვლაპარაკობთ კალამის კორუფციაზე, სხვა რა უნდა გააკეთოს? ჯიბიდან ფულს კი არ ამოგვაცლის საფულეებიდან, ამას აკეთებენ სპორტულ მოედნად გაყიდულ შენობაზე. იქ, სადაც ტერიტორიას სატყეო ზონა ადევს და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაა და ყველაფერი უნდა კეთდებოდეს იმისთვის, რომ ეს ტერიტორია სხვანაირად განვითარდეს, ჩვენ ვიღებთ მორიგ საცხოვრებელ კორპუსს და ის პირობაც კი ვერ მივიღეთ, რომ ამ ტერიტორიას მომავალში საჯარო სარგებლობის რაღაც ფუნქცია შეუნარჩუნდეს. ის მოტყუებითი სპორტული კომპლექსი, რომელიც იმ ტერიტორიაზე ვითომდა რჩება, იმით ისარგებლებენ იმ კორპუსის მაცხოვრებლები და იმის პირობასაც ვერ გვაძლევს დღეს ურბანული სამსახური და მერია, რომ მასეთი ჩანაწერი გაკეთდეს ტექსტში, რომ სულ მცირე, სარგებლობის უფლება მიეცეს საზოგადოებას იმ ვითომ სპორტული კომპლექსით. კიდევ ერთხელ დასტურდება ის, რომ აქ არანაირი სპორტული კომპლექსი არ იქნება, ეს იქნება იქ მაცხოვრებელთა დამატებითი კომფორტისთვის მოწყობილი ტერიტორია, სადაც ვიღაც საუნაში გადავა, ვიღაც ტრენაჟორებზე და ვიღაც ბასეინში. ეს არის შავით თეთრზე კორუფცია და უბრალოდ წარმოუდგენელი ცინიზმია და თბილისელების დაცინვა. აი, ესეთი გადაწყვეტილებები არის, რაც მერე ძირს უთხრის ნებისმიერი ინსტიტუტის მიმართ ნდობას“.

ზურაბ აბაშიძე დაინტერესდა, შენარჩუნდება თუ არა სპორტული კომპლექსი და თანხასთან დაკავშირებით რა იქნება შემდგომი ეტაპები. მისი თქმით, წარმოდგენილი პროექტი დეტალურად იქნა განხილული საკრებულოს შესაბამისი კომისიების სხდომაზე და ურბანული თვალსაზრისით რაიმე განსაკუთრებული პრობლემა არ არის, თუმცა, ბუნებრივია, ოპოზიცია იმისთვის არის, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით ჰქონდეს განსხვავებული პოზიცია და იყოს კრიტიკული, თუმცა, „არის კრიტიკა და არის ინტრიგა. ამ შემთხვევაში ეს ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ“.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ არასწორი ინფორმაციაა, თითქოს გრგ-ს ოთხჯერ ეთქვა უარი, ის ოთხჯერ დარჩა განუხილველი, რადგან ჰქონდა ხარვეზები ტექნიკურ დოკუმენტაციაში. რაც შეეხება ამ გეგმარებით დავალებას, გრგ-ს ეტაპზე მან უნდა შეასრულოს ის, რაც განისაზღვრება დავალებით ნაწილში და შესაბამისად, როდესაც შემოვა გრგ, შესაძლებელია ეს განაცხადი და პროექტი რამდენჯერმე დარჩეს განუხილველი, რაც, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს უარს. აქვე, აღნიშნა, რომ საპრივატიზებო პირობა იყო სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რაც შენარჩუნებულია ამ შემთხვევაშიც. ოთარ ჩიტიძემ, ასევე, განმარტა, რომ საცხოვრებელ ზონა 5-ში, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, დაშვებულია სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რისი დამტკიცებაც ხდება გრგ-ში და არ სჭირდება თბილისის მერის ბრძანება. მისი თქმით, ურბანულ სამსახურში შესული ყველა განაცხადი თუ ცვლილება არის საჯარო ინფორმაცია და ატვირთულია შესაბამის საიტზე, ხოლო, ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ატვირთულია თუ არა შესაბამის საიტზე, ინფორმაციას არ ფლობს, გადაამოწმებს და თუ არის რაიმე ტექნიკური ხარვეზი, სამსახური გამოასწორებს.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო გასაცვლელ ქონებას აფასებს ორი დატვირთვით და დაინტერესდა ამ

შემთხვევაშიც ქონების ფასი რომ განსაზღვრულიყო საცხოვრებელი ზონა 5-ით, შესასყიდ და გადახდილ თანხებს შორის განსხვავება იქნებოდა მნიშვნელოვანი და აქედან გამომდინარე, აღარ გაჩნდებოდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ ამის უკან რამე იმალება.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ ამ შემთხვევაში, ქალაქგეგმარებითად მნიშვნელოვანია დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომლის შესაბამისადაც მოხდება შეფასება საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით და არა ზოგადად, როგორც საცხოვრებელი ზონა 5 და შესაბამისად, ფასთა შორის სხვაობა შესაძლებელია ამ ნაწილშიც იყოს. მისი თქმით, უბრალოდ საცხოვრებელი ზონა 5-ით შეფასებამ შეიძლება უფრო ნაკლები ფასი განსაზღვროს, ვიდრე ამ განვითარების წინადადებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული საშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ოსტატის“ (ს/ნ.: 400145758) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ავჭალის ქ.N7გ (ს/კ.: N72.12.06.162) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „ოსტატი“ 95040 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ავჭალის N7გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მიიღებს კოეფიციენტის მატების უფლებას 1.5-დან 2.1-მდე, რაც ნიშნავს ორი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

58. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.N1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიდმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) -

არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ნიუდეველოპმენტის“ (ს/ნ.: 405433605) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი ასმათის ქ.№1 (ს/კ.: N01.72.14.035.148) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „ნიუდეველოპმენტი“ 320819 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ასმათის ქ.№1-ში მდებარე თორმეტსართულიან სამშენებლო ობიექტზე მიიღებს სამი სართულის მატების უფლებას. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში არის გამონაკლისი, კერძოდ, კომპანიას წარმოსადგენი ექნება კონსტრუქციული დასკვნა, რადგან უკვე აშენებულია 12 სართული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

59. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N 01.14.03.039.007); ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ.№45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.№10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „გ.მ.ს. ჯგუფის“ (ს/ნ.: 402044042) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა კორპუსი N2-ის მიმდებარედ (ს/კ.: N01.10.06.006.287) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჯოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „გ.მ.ს. ჯგუფი“ 131920 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, დემეტრე თავდადებულის ქ., კორპ.2-ის მიმდებარედ არსებულ თხუთმეტსართულიან სამშენებლო ობიექტზე მიიღებს კოეფიციენტის მატების უფლებას 3.5- დან 0.4-ით, რაც ნიშნავს ერთი სართულის მომატებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

60. „ქ.თბილისი, შარტავას ქ.№1 (ს/კ.: N01.10.13.015.114); ქ.თბილისი, შარტავას ქ.№3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.№6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115); ქ.თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ.№16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის

II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029); ქ.თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N 01.14.03.039.007); ქ.თბილისი, კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142); ქ.თბილისი, ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ (ს/ნ.: 204460957) და შპს „ეი იქს AX“-ს (ს/ნ.: 400107273) მიმართ მისამართზე ქ.თბილისი, ერწოს ქუჩა N15, ერწოს ქ.N 15 ის მიმდებარედ; ერწოს ქ.N 17, ერწოს ქ. კორპ. N 13-ის მიმდებარედ - (ს/კ.: N01.12.08.010.116) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში შპს „ეი იქს AX“ 705264 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ერწოს ქ.N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6, მიიღებს კოეფიციენტის მატების უფლებას 2.5-დან 4.5-მდე. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს შეთანხმებული აქვს გაბი.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ, როდესაც საუბარია „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე, ყოველთვის არის დისკუსია იმაზე, რამდენად შეესაბამება მოცემულობას ის პრეფერენციები, რომლებსაც ვანიჭებთ და ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც აღნიშნული საკამათო ან საექვოა. მისი თქმით, ყოველთვის, როდესაც საკითხი განსაკუთრებულად პრობლემურია, ხდება ისე, რომ კომპანიის ინტერესი დაკავშირებულია ან ქალაქის მერთან, ან მმართველ პარტიასთან. წარმოდგენილი საკითხი დაკავშირებულია საკრებულოს უმრავლესობის ერთ-ერთ წევრთან და მის საკუთრებაში არსებულ კომპანიასთან და ვხედავთ, რომ კორპუსი შენდება იქ, სადაც არ არის ცხრასართულიანზე მაღალი შენობა და ამასთანავე, ეს არის ის მშენებლობა, რომელსაც მოჰყვა ადგილობრივი მოსახლეობის ძალიან დიდი უკმაყოფილება, რადგან აღნიშნული ძალიან უარყოფითად აისახება მათ უფლებრივ მდგომარეობაზე. მისი თქმით, მივიღებთ ისეთ მოცემულობას, როდესაც ხალხი უკმაყოფილოა, უმრავლესობის წევრს ვაძლევთ პრეფერენციას, რომლის ფარგლებშიც 70 მეტრიანი შენობის მშენებლობის უფლებას ვაძლევთ იქ, სადაც ცხრასართულიანი შენობებია. მისი თქმით, ეს არ არის ჩვეულებრივი და რიგითი გადაწყვეტილება, ეს არის მორიგი შემთხვევა, როდესაც „ცენტრ პოინტის“ დაზარალებულების უბედურების ხარჯზე, ჩვენ ვანიჭებთ ისეთ პრეფერენციას, რომელიც არ შეესაბამება არანაირ ურბანულ ლოგიკას“.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა საბა ბუაძის განცხადებას, რომ თითქოს ურბანულად პრობლემური პროექტები დაკავშირებულია კონკრეტულ სახელებთან და გვარებთან და განაცხადა, რომ მისი აზრით, ხდება პირიქით - საბა ბუაძე უკავშირებს ურბანულ პრობლემას სახელებს და გვარებს. აღნიშნა, რომ ყველა პრეფერენცია ნიშნავს გარკვეულ გამოწვევას, რომელსაც მუნიციპალიტეტი ანიჭებს ნებისმიერ კომპანიას, რითიც ხელს უწყობს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელი მშენებლობით დაზარალებულების პრობლემის მოგვარებას. თუმცა, სამწუხაროდ, საბა ბუაძის მხრიდან ყურადღების გამახვილება ხდება კონკრეტულ გვარებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ხოლო, რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის პოზიციას, განაცხადა, რომ არავითარი უკმაყოფილება და ვნებათა ღელვა ამ მშენებლობას არ მოჰყოლია.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ეს არის ის მიწა, როდესაც მუნიციპალიტეტმა კერძო მესაკუთრეს 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთში გადასცა 2500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და ეხლა წარმოდგენილია პრეფერენციების მინიჭების საკითხი, რაც, მისი თქმით, არის სირცხვილი.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ მისთვის ღიმილის მომგვრელია საბა ბუაძისგან ურბანულ მიზანშეწონილობაზე ექსპერტივით საუბარი, რადგან მას არ გააჩნია შესაბამისი ურბანული ექსპერტიზა და არც ურბანისტებს უსმენს. მისი თქმით, წარმოდგენილ ტერიტორიაზე

ურბანული ქსოვილი განვითარებულია მაღალი ინტენსივობით და იქ 14-15 ან 16 სართულიანი შენობის მშენებლობა არსებითად არაფერს ისეთს არ დატვირთავს, რომ გამოიწვიოს დევიანტური ჩარევა იქ არსებულ ურნაბულ კომუნიკაციებში.

აღუქსანდრე ხუჯაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი შედის მის ინტერესში და აქედან გამომდინარე, კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 57 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე



გიორგი ხველიდანი